შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №38

2011 წლის 04 მარტი
ქ. ბათუმი

რსუ–ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და რსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის წესისა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №9/ნ ბრძანების საფუძველზე შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „რსუ–ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“ **დანართი 1–ის** შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „რსუ–ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“–ს დამტკიცების შესახებ რსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №149 დადგენილება;
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე, დაეგზავნოს რსუ–ს ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს/მართვის ორგანოებს და განთავსდეს რსუ–ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ალიოშა ბაკურიძე**

[1]

[1] ცვლილება შევიდა რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 ივნისის №80 დადგენილებით.

დანართი 1

რსუ–ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების
განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში რსუ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და პირობებს.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადება პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის.

3. პროფესიული განათლება იყოფა ფორმალურ და არაფორმალურ პროფესიულ განათლებად და მოიცავს 5 საფეხურს.

4. რსუ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სწავლების მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

5. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისება ან წინა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების აღიარება.

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წინაპირობები და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება რსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, წელიწადში ორჯერ, სემესტრულად, სასწავლო პროცესის დაწყებამდე 1 თვით ადრე.

2.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ასლი (მეორე და მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის) ;

დ) მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში – წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის სერტიფიკატი;

ე) მე-4 და მე-5 საფეხურისათვის – ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების გამოცდის სერტიფიკატი.

ვ) წინა საფეხურის არარსებობისას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას პირი მოიპოვებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში; ხოლო III

საფეხურის არარსებობისას – ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე, პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურის შესაბამისად.

4. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა დადგენილი ქვოტის ფარგლებში ხდება განცხადებისა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესში მითითებული დოკუმენტების საფუძველზე.

5. კონკურსის შემთხვევაში, მეორე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა მიენიჭებათ ზოგადი განათლების საფეხურზე, ხოლო მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას - წინა საფეხურზე მიღებული შეფასებების მიხედვით.

6. კონკურსის შემთხვევაში, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობის განსაზღვრა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული ცოდნის შეფასება

1. რსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება დასწრებული სწავლების ფორმით. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა განისაზღვრება კრედიტებში. ერთი კრედიტი ასახავს პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობას 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში.

2. კრედიტის მისაღებად პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში უნდა მოიცავდეს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

3. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

4. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

5. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

6. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

7. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს არანაკლებ 10 დღეში გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

მუხლი 4. კვალიფიკაციის მინიჭების წესი

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვადის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პირადი საქმეების შესწავლას კომისიური წესით. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ:

- ფაკულტეტის დეკანი;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- კურიკულუმის კომიტეტის წევრ(ებ)ი;
- ფაკულტეტის მდივანი.

2. კომისია დეტალურად შეისწავლის თითოეული სტუდენტის პირად საქმეს, ადგენს, შესრულებული აქვს თუ არა სტუდენტს პროგრამის მოთხოვნები. სტუდენტის მიერ პროგრამის მოთხოვნათა შესრულების შემთხვევაში ამზადებს შესაბამის დასკვნას ფაკულტეტის საბჭოსათვის. პირად საქმეში ხარვეზების არსებობის შემთხვევაში სტუდენტს აძლევს მათი გამოსწორებისათვის აუცილებელ ვადას და საჭირო რეკომენდაციებს.

3. კომისიის დასკვნაში უნდა აღინიშნოს თითოეული კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციისა და სპეციალობის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

4. პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა დიპლომი, სტანდარტული დანართით.

5. პირს, რომელმაც არ, ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა სათანადო მოწმობა.

6. გადაწყვეტილებას კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ასევე გადაწყვეტილებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ღებულობს ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

7. პროფესიული პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში ხდება პროფესიული სტუდენტისათვის ალტერნატიული პროგრამის შეთავაზება პროგრამის მოცულობის ფარგლებში ათვისებული კრედიტების აღიარების პირობით.

მუხლი 5. დასკვნითი დებულება

1. პროფესიული სტუდენტის მობილობა, სტატუსის შეწყვეტა/შეჩერებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება რსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესისა და **რსუ–ში სწავლის საფასურის გადახდის წესის** შესაბამისად.